რამაზ ჩხიკვაძე



ავტორი: ელენე ორჯონიკიძე

06/11/2015

ზურაბ წერეთელი ქართველი მხატვარი, მოქანდაკე და არქიტექტორი, რომელმაც შექმნა ბატონი რამაზ ჩხიკვაძის ძეგლი. მისი ქანდაკება 2013 წელს 9 აპრილის ბაღში დაიდგა.

რამაზ ჩხიკვაძე ქართველი მსახიობი. სსრკ სახალხო არტისტი. მან 1951 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და ამავე წლიდან რუსთაველის თეატრის მსახიობია. იგი 50 წელიწადზე მეტი იდგა სცენაზე.





ამბობენ, რომ არც ერთ ქართველ მსახიობზე არ დაწერილა იმდენი, რამდენიც მის შესახებ იწერებოდა. ის იყო ხელოვანი, რომელმაც მსოფლიო თეატრის ისტორიაში ეპოქა შექმნა და იყო მსახიობი, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. მან ითამაშა ისეთ სპექტაკლებში როგორებიცაა, მაგალითად:

<u>კავკასიური ცარცის წრე</u>



მეფე ლირი

ჭრიჭინა

ყვარყვარე თუთაბერი

იგი გარდაიცვალა 2011 წლის 17 ოქტომბერს თბილისში, 83 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში